


ჯიპიჯი

პენის სელაზღვევო ჯგუფი



მოტოციკლის დაზღვევის პირობები

მოტო ფიქსი

MOTORCYCLE INSURANCE WORDING

1. ტერმინთა განმარტებები:

- 1.1. **თქვენ (დამზღვევი)** - ფიზიკური პირი, რომელმაც გააფორმა დაზღვევის ხელშეკრულება "მზღვეველთან";
- 1.2. **ჩვენ (მზღვეველი)** - სს "სადაზღვევო კომპანია ჯიპიაი პოლიდინგი"; ს/კ 204426674, იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. N67;
- 1.3. **მოსარგებლე** - პირი, რომელიც უფლებამოსილია მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე;
- 1.4. **დაზღვევის ხელშეკრულება** - ხელშეკრულება ჩვენსა და თქვენს შორის, რომელიც შედგება წინამდებარე პირობების, შესაბამისი განაცხადისა და მის საფუძველზე გაცემული პოლისისაგან;
- 1.5. **სადაზღვევო პოლისი (პოლისი)** - დაზღვევის არსებობის დამადასტურებელი ბეჭდური ან/და ელექტრონული დოკუმენტი, რომელშიც მითითებულია თქვენ მიერ შეძენილი სადაზღვევო დაფარვის დეტალები;
- 1.6. **დაზღვეული მოტოციკლი** - პოლისში მითითებული თქვენს კანონიერ მფლობელობაში არსებული მოტოციკლი;
- 1.7. **სადაზღვევო პერიოდი** - დაზღვევის მოქმედების ვადა, რომელიც მითითებულია პოლისში (დაწყების და დასრულების თარიღების ჩათვლით);
- 1.8. **ანაზღაურების ლიმიტი / სადაზღვევო თანხა** - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემთხვევაში მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების შესაბამისად ასანაზღაურებელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი, რომელიც განსაზღვრულია პოლისში, თითოეული სექციისათვის ცალ-ცალკე;
- 1.9. **საბაზრო ღირებულება** - დაზღვეული მოტოციკლის საბაზრო ღირებულება, ანუ თანხა, რომლითაც საქართველოს ბაზარზე დაზღვეული მოტოციკლის იდენტური მონაცემების მქონე სხვა მოტოციკლს შეიძინო;
- 1.10. **ფრანშიზა** - ზარალის თანხის ნაწილი, რომელსაც ჩვენ არ ავანაზღაურებთ და რომელიც აკლდება სადაზღვევო ანაზღაურებას თითოეულ და/ან ყველა შემთხვევაში;
- 1.11. **დაზღვევის ტერიტორიული საზღვრები** - საქართველო, გარდა ოკუპირებული ტერიტორიების;
- 1.12. **სადაზღვევო შემთხვევა / ზარალი** - სადაზღვევო შემთხვევად განიხილება მხოლოდ დაზღვევის მოქმედების პერიოდში მომხდარი, დაზღვეული რისკის შედეგად დამდგარი ზარალი;
- 1.13. **სრული ზარალი/განადგურება** - მოტოციკლის დაზიანება 70%-ზე მეტად (როდესაც ზარალის შედეგად დაზღვეული მოტოციკლის აღდგენის ღირებულება აჭარბებს საბაზრო ღირებულების 70%-ს) ან მოტოციკლის ქურდობით გამოწვეული ზარალი;
- 1.14. **სადაზღვევო პრემია (პრემია)** - დაზღვევის ღირებულება. მისი ოდენობა და გადახდის წესი მითითებულია პოლისში;
- 1.15. **გამომუშავებელი პრემია - პრემიის** ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება დაზღვევის დაწყებიდან კონკრეტულ თარიღამდე პერიოდის შეფარდებას საწყის სადაზღვევო პერიოდთან;
- 1.16. **უფლებამოსილი მძღოლი** - ფიზიკური პირი, რომლის მიერ მოტოციკლის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია. უფლებამოსილი მძღოლი შესაძლებელია იყოს მხოლოდ დამზღვევი, რომლის ასაკი აღემატება 30 (ოცდაათი) წელს და გააჩნია შესაბამისი კატეგორიის მოქმედი მართვის მოწმობა და მინიმუმ 6 (ექვსი) თვიანი მოტოციკლის მართვის გამოცდილება დაზღვევის მომენტისათვის;
- 1.17. **ნარჩენი ღირებულება** - დაზღვევის ღირებულება, რომლის ოდენობა და გადახდის წესი განსაზღვრულია პოლისში;
- 1.18. **მესამე პირი** - ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, გარდა უშუალოდ დაზღვეული მოტოციკლის მძღოლის და/ან მგზავრების, თქვენი და/ან თქვენი ოჯახი წევრების, რომლის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან ქონებას მიადგა ზიანი დაზღვეული მოტოციკლის მართვის შედეგად.

2. მოტოციკლის ძარის დაზღვევა

- 2.1. "მოტო ფიქსის" პირობებით ანაზღაურდება დაზღვეული მოტოციკლის სრული ან ნაწილობრივი ზარალი ქვემოთ მითითებულ შემთხვევებში:
 - 2.1.1. საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა;
 - 2.1.2. ქურდობა, გატაცება, ყაჩაღობა და/ან მათი მცდელობა;
 - 2.1.3. ხანძარი, აფეთქება;
 - 2.1.4. ვანდალიზმი (მესამე პირის მიერ მოტოციკლის განზრახ დაზიანება), საგნების ვარდნა;
 - 2.1.5. წყალდიდობა, დიდთოვლობა, ჰაერის მასების მოძრაობა 25 მ/წმ-ზე მეტი სიჩქარით, მენყერი, ღვარცოფი, სეტყვა, მიწისძვრა;
- 2.2. თუ ზემოთ მითითებული მიზეზების გამო დაზარალდით, დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების გათვალისწინებით სადაზღვევო თანხის ფარგლებში ავანაზღაურებთ დაზღვეული მოტოციკლის შეკეთების ხარჯებს ან გადაგიხდით ზარალის ადეკვატურ თანხას;

1. DEFINITIONS OF TERMS

- 1.1. **You (Policyholder)** - individual, who has signed the Insurance Agreement with the Insurer;
- 1.2. **We (Insurer)** - JSC "Insurance Company GPI Holding"(i/c: 204426674, legal address: c. Tbilisi, Kostava str. N67;
- 1.3. **Beneficiary** - individual, who is authorized to receive insurance indemnification on the basis of the insurance agreement;
- 1.4. **Insurance agreement** - agreement between us and you, which consists of these terms and conditions, respective application form and the policy issued on the basis of such application;
- 1.5. **Insurance Policy (Policy)** - a printed and/or electronic document that verifies insurance coverage, detailing the insurance you have purchased.
- 1.6. **Insured Motorcycle** - the motorcycle specified in the policy, of which you are the registered legal owner;
- 1.7. **Insurance Period** - The duration of insurance validity as specified in the policy, (including start and end dates).
- 1.8. **Coverage Limit/Insurance Amount** - the maximum amount of indemnification as established by the insurer in accordance with the terms of the insurance contract, applicable for each section of coverage during the Insurance Period, as detailed in the policy.
- 1.9. **Market Value** - The current market value of the insured motorcycle, or the cost to purchase a similar motorcycle with identical features in the Georgian market.
- 1.10. **Deductible** - The portion of the loss not covered by Us, to be deducted from indemnification by the Insurer for each claim or/and in all instances of loss.
- 1.11. **Insurance Territory** - Georgia, excluding occupied territories;
- 1.12. **Insurance Event/Loss** - Considered as such only if resulting from an insured loss occurring within the valid term of the insurance agreement.
- 1.13. **Total Loss/Destruction** - Damage exceeding 70% of the motorcycle's market value (when the cost to repair the insured motorcycle exceeds 70% of its market value) or losses due to theft.
- 1.14. **Insurance Premium (Premium)**- the cost of the insurance, with its amount and payment terms specified in the policy.
- 1.15. **Unearned Premium** -the portion of the premium corresponding to the period from the start of insurance to a specific date within the initial insurance period;
- 1.16. **Authorized Driver** -an individual authorized to operate the motorcycle during the active insurance period. **Authorized Driver** shall be only the policyholder and be over 30 (thirty) years old, possess a valid driving license, and have at least 6 (six) months of motorcycle riding experience.
- 1.17. **Residual Value** - The remaining value of the insurance, with the amount and payment terms determined in the policy.
- 1.18. **Third Party** - Any person or legal entity, other than the driver and/or passengers of the insured motorcycle, you and/or your family members, who suffer life, health, or property damage due to the operation of the insured motorcycle.

2. MOTORCYCLE BODY INSURANCE

- 2.1. Under "Moto Fix," full or partial loss of the insured motorcycle will be compensated in cases such as:
 - 2.1.1. Road accidents;
 - 2.1.2. Theft, hijacking, robbery, and/or attempted theft/robbery;
 - 2.1.3. Fire, explosion;
 - 2.1.4. Vandalism (intended damage of motorcycle by third person), falling objects;
 - 2.1.5. Natural disasters including floods, heavy snowfall, high winds more than 25 m/sec, landslides, mudflows, hail, earthquakes;
- 2.2. If the causes of damage fall within the above-mentioned covered reasons as per the insurance agreement, compensation will be provided within the **Insured Amount** either for the repair costs of the insured motorcycle or an

2.3. ჩვენ აგრეთვე დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ავანაზღაურებთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მოტოციკლის ევაკუირების ხარჯებს (უახლოეს სარემონტო/შემკეთებელ ცენტრამდე).

3. მობრძოვლობის მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევა

- 3.1. პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების გათვალისწინებით ავანაზღაურებთ თანხას, რომლის გადახდაც კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილებით (გარდა თქვენ წინააღმდეგ სასამართლოს მიერ მიღებული დაუსრულებელი გადაწყვეტილების ან თქვენ მიერ სარჩელის ცნობის შემთხვევისა) დაგეისრებათ თქვენ დაზღვეული მოტოციკლის მართვის შედეგად მესამე პირებისათვის მიყენებული ზარალისთვის, კერძოდ - მესამე პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის და/ან მესამე პირის ქონებისთვის მიყენებული ზიანის გამო (გარდა ისეთი შემთხვევის, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული მოტოციკლით ან რომელიც იმყოფებოდა თქვენი/ მოსარგებლის მეთვალყურეობის ქვეშ);
- 3.2. ჩვენ ავანაზღაურებთ (დაზღვევის ხელშეკრულების წესებისა და პირობების გათვალისწინებით, ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში):
- 3.2.1. თანხას, რომლის გადახდაც დაზღვეულ პირს დაეკისრება სასამართლოს მიერ (გარდა სასამართლოს მიერ დაუსრულებელი გადაწყვეტილების გამოტანის ან სარჩელის ცნობის შემთხვევისა) დაზღვეული მოტოციკლით მესამე პირისათვის მიყენებული ზარალისთვის, ან/და
- 3.2.2. თანხას, რომელიც მორიგებულია თქვენსა და დაზარალებულ მესამე პირს შორის სასამართლოს გარეშე (იხილეთ პუნქტი 3.4);
- 3.2.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ იურიდიულ ხარჯებს, რაც დაკავშირებულია ზარალის დარეგულირებასთან;
- 3.3. სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი ხარჯის გაღება (იურიდიული თუ სხვა) ან მესამე პირის მიმართ პასუხისმგებლობის აღიარება უნდა მოხდეს მხოლოდ ჩვენთან წერილობითი შეთანხმებით, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი;
- 3.4. თუ თანხა ანაზღაურდება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, თანხა გამოითვლება შემდეგნაირად:
- 3.4.1. თუ მესამე პირის ქონება მთლიანად განადგურდა, მაშინ პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება ქონების საბაზრო ღირებულებას გამოკლებული წარჩენების ღირებულება;
- 3.4.2. თუ მესამე პირის ქონება არ არის სრულად განადგურებული, მაშინ პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება სარემონტო ხარჯები იმ მოცულობით, რაც საჭიროა დაზიანებული ქონების ზარალამდე არსებულ კონდიციამდე მისაყვანად;
- 3.4.3. მესამე პირის ჯანმრთელობისა და სიცოცხლისთვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში, პოლისში მითითებული ანაზღაურების ლიმიტის ფარგლებში ანაზღაურდება:
- დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, რომელსაც დაზარალებული პირი ვერ მიიღებს შრომისუნარიანობის სრული ან ნაწილობრივი დაკარგვის გამო, მაგრამ არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა;
 - დაზარალებული პირის სამკურნალოდ საჭირო თანხები;
 - დაზარალებული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, დოკუმენტურად დადასტურებული შემოსავალი, მაგრამ არა უმეტეს 5 წლის განმავლობაში მიღებული ასეთი სახის ჯამური შემოსავლისა. ამ პუნქტში აღნიშნული რისკის დადგომის შემთხვევაში, ზარალი აუნაზღაურდება მხოლოდ დაზარალებული პირის მემკვიდრეს (მემკვიდრეებს) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- 3.5. თუ ერთი შემთხვევის შედეგად დაზარალებული რამდენიმე მესამე პირი, ხოლო თქვენზე დაკისრებული ჯამური პასუხისმგებლობის ოდენობა გადააჭარბებს პოლისში მითითებულ ანაზღაურების ლიმიტს, ანაზღაურებას თითოეული მხარე მიიღებს პროპორციულად (საერთო ზარალში ინდივიდუალური ზარალის პროპორციული წილის შესაბამისად);
- 3.6. მესამე პირთა მიმართ პასუხისმგებლობის დაზღვევით ანაზღაურებას არ ექვემდებარება:
- 3.6.1. ნებისმიერი სახის მორალური ზიანი;
- 3.6.2. ზარალი, რომელიც მიადგა დაზღვეული მოტოციკლის მძღოლს / მგზავრებს;
- 3.6.3. ზარალი, რომელიც მიადგა მძღოლის / მგზავრების ქონებას;

appropriate amount to cover the loss, in accordance with the terms and conditions of the insurance agreement;

2.3. Our coverage also includes evacuation of the damaged motorcycle (to the nearest repair center) in accordance with the terms and conditions of the insurance agreement;

3. THIRD-PARTY LIABILITY INSURANCE FOR MOTORCYCLE OWNERS

- 3.1. Under the rules and conditions of the insurance contract, subject to the **indemnification limits** specified in the **policy**, indemnification will be determined by a court decision that has attained legal finality (except in scenarios where a judgment is rendered by a court in ex-parte proceedings, or in instances involving your admission of liability regarding the claim) if the claim relates to your operation of the insured motorcycle affecting a third party, namely, this encompasses damages to a **third party's** life, health, or property (however, this excludes situations where the damaged property was being conveyed by the insured motorcycle or was under the control of **you/your beneficiary**);
- 3.2. Reimbursement will be made (within the established **indemnification limit** under the stipulations and terms of the Insurance Agreement):
- 3.2.1. indemnification will be determined by a court decision that has attained legal finality (except in scenarios where a judgment is rendered by a court in ex-parte proceedings, or in instances involving your admission of liability regarding the claim) if the claim pertains to your operation of the insured motorcycle affecting a third party, or/and
- 3.2.2. amount, agreed upon between you and the affected party outside of court proceedings (refer to paragraphs 3.4);
- 3.2.3. Legal expenses related to the insurance claim for the settlement of the loss.
- 3.3. All expenses, related to the insurance claim (legal or other), as well as any acknowledgment of liability towards a third party, must be agreed upon in written form with us. Failure to obtain such written agreement will result in us reserving the right not to reimburse for the loss.
- 3.4. If the claim will be reimbursed without a decision from a court with legal jurisdiction, the calculation of the amount will be determined as follows:
- 3.4.1. In the event that a **third party's** property is totally destroyed, indemnification shall be provided within the coverage specified in the **policy**. This compensation will amount to the market value of the destroyed property, deducted the value of any salvageable portion;
- 3.4.2. If a **third party's** property is partially, but not completely destroyed, indemnification will be made within the coverage limits specified in the **policy**. This reimbursement will cover the repair costs necessary to restore the property to its condition prior to the damage.
- 3.4.3. In instances, where there is damage to the health and life of a **third party**, the compensation will be provided up to the limit of indemnification specified in the policy.
- Indemnification will include the documented income, which the affected person will lose due to complete or partial loss of work capacity, limited to no more than the equivalent of five years of such income.
 - Amounts required for treatment of injured person;
 - In the event of the death of an affected person, indemnification will cover the documented income of the deceased, up to a maximum of 5 years' worth of total earned revenue. In scenarios involving the risks outlined in this paragraph, any compensation for damages will be payable exclusively to the legal successor(s) or heirs of the affected person, in accordance with Georgian law.
- 3.5. If multiple **third parties** are impacted by a single incident, and the total liability imposed on you surpasses the **indemnification limit** specified in the **policy**, each affected party will receive a proportional payment (this payment will be

3.6.4. ზარალი, რომელიც მიადგა მესამე პირის ქონებას, როდესაც ხდებოდა ამ ქონების ტრანსპორტირება დაზღვეული მოტოციკლით.

determined based on the share of their individual loss in relation to the total loss incurred);

3.6. Exclusions from **third-party** compensation:

3.6.1. All moral damages;

3.6.2. Damages incurred due to the insured motorcycle to driver/passengers;

3.6.3. Losses incurred to the property of driver/passenger;

3.6.4. Loss incurred to a third party's property while it was being transported by the insured motorcycle.

4. საერთო პირობები

4.1. **თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო შემთხვევისას დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ 24 საათიან ცხელ ხაზზე +995 322 605 111;**

4.2. **ჩვენი** სერვის მენეჯერი მაშინვე ჩაერთვება დარეგულირების პროცესში და გაგიწევთ შესაბამის დახმარებასა და კონსულტაციას. თუ საჭიროა, სერვის მენეჯერი გამოიძახებს ევაკუატორს დაზღვეული მოტოციკლის უსაფრთხო ადგილას გადასაყვანად (ევაკუატორის მომსახურება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე);

4.3. **ჩვენი** სერვის მენეჯერის სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე მოსვლამდე დაუშვებელია სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული მოტოციკლის გადაადგილება (გარდა საპატრულო პოლიციის წარმომადგენლის მოთხოვნისა, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლება გვაქვს უარი ვთქვათ სადაზღვევო ანაზღაურებაზე);

4.4. **სადაზღვევო შემთხვევისას** აუცილებლად გამოიძახეთ საპატრულო პოლიცია და წარმოადგინეთ შემთხვევის ამსახველი ყველა დოკუმენტი. გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ **ჩვენ** არ განვიხილავთ პრეტენზიებს ზარალის ანაზღაურებაზე, თუ შემთხვევის შესახებ დავიანებებით გვაცნობებთ. ამასთან ერთად ვალდებული ხართ წარმოადგინოთ ოფიციალური დოკუმენტაცია, რომელიც ადასტურებს შემთხვევის მომენტისათვის დაზღვეული მოტოციკლის მძღოლის ვინაობას და მისი სიფხიზლის ფაქტს;

4.5. **საერთო გამონაკლისები. ჩვენ** არ ავანაზღაურებთ შემთხვევას, დაზიანებას ან ზარალს, გამომწვეულს შემდეგი გარემოებებით:

4.5.1. მოტოციკლი დაზღვეულია ნებისმიერი სხვა სადაზღვევო **პოლისით** / სადაზღვევო პროდუქტით;

4.5.2. გაუფასურება, ამორტიზაცია, ცვეთა, მექანიკური და ელექტროსისტემების/ნაწილების მწყობრიდან გამოსვლა ისეთი მიზეზით/ რისკებით, რაც არ არის გამომწვეული დაზღვეული რისკებით;

4.5.3. უხარისხო გზით გამომწვეული სავალი ნაწილის, საბურავების ან დისკების დაზიანება;

4.5.4. მოტოციკლი გამოიყენება შეუსაბამო საგზაო პირობებში (შემთხვევები, როდესაც დაზღვეული მოტოციკლის შესაბამისი მოდელი არ არის განკუთვნილი საგზაო პირობებში ექსპლუატაციისათვის);

4.5.5. დაზღვეულ მოტოციკლზე დამონტაჟებული არა-ქარხნული დეტალების, მოწყობილობების, აქსესუარების ან არა-ქარხნული სარკეების დაზიანებით ან განადგურებით გამომწვეული ზარალი;

4.5.6. დაზღვეული მოტოციკლის მძღოლი საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით გადაადგილდება;

4.5.7. დაზღვეული მოტოციკლის მძღოლი მოტოციკლის მართვისას იმყოფება ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ფსიქოტროპული ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ (მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა დაზღვეული მოტოციკლის მძღოლის ბრალეულობით მოხდა თუ მესამე პირის მიზეზით);

4.5.8. მძღოლის მიერ უხეში გაუფრთხილებლობა ან განზრახ ქმედებით გამომწვეული ზიანი;

4.5.9. საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ განხორციელებული შეკეთება;

4.5.10. ტრეკზე მოძრაობა, როლებში მონაწილეობა, დაზღვეული მოტოციკლის ნებისმიერი სახით გამოცდა, Test Drive, Off Road;

4.5.11. მოტოციკლი გამოიყენება შემდეგი დანიშნულებით: ა) მგზავრების გადაყვანისათვის ანაზღაურების სანაცვლოდ ბ) გაქირავებისათვის (ე.წ. „რენტ“) გ) სხვადასხვა საქონლის დისტრიბუციისათვის დ) საკურიერო მომსახურებისათვის;

4.5.12. დაზღვეული მოტოციკლი იძებნება და/ან მოტოციკლის მასხასათებლები არ ემთხვევა მისი VIN კოდის (მოტოციკლის საიდენტიფიკაციო ნომერი) შესაბამის მონაცემებს, რომელსაც მოვიპოვებთ მოტოციკლის მწარმოებლის ან სხვა კომპეტენტური წყაროს მეშვეობით;

4.5.13. ზარალი გამომწვეულია იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით, ატომური/ბირთვული ნივთიერებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური, ფეთქებადი ან სხვა სახიფათო ნივთიერების ტრანსპორტირებით;

4. GENERAL CONDITIONS

4.1. **Policyholders are required to promptly contact our 24-hour hotline at +995 322 605 111 immediately following an incident;**

4.2. Our service manager will swiftly engage in the claim process, offering necessary assistance and consultation. This includes arranging for the motorcycle's evacuation to a secure location (within Georgia), if deemed necessary;

4.3. Movement of the damaged motorcycle post-accident is prohibited without authorization from our service manager, (except when directed by police authorities. Non-compliance may lead to a denial of insurance compensation);

4.4. **In case of insurance accident**, it is imperative to notify the Patrol police and provide all relevant accident documentation. Failure to promptly report the incident or provide necessary documentation, may result in refusal to discuss claims for compensation of loss, including evidence of the insured motorcycle driver's identity and state of sobriety at the time of the accident;

4.5. **General exclusions.** Compensation will not be provided for a loss or damage, in cases where:

4.5.1. The motorcycle is concurrently insured under any another **policy**/insurance product;

4.5.2. Losses result from natural wear and tear, or deterioration of mechanical and electrical components not attributable to insured risks;

4.5.3. Damage is due to poor quality of chassis, tires, or discs;

4.5.4. The motorcycle is operated under road conditions unsuitable for its model;

4.5.5. Damage results from non-factory modifications, devices, accessories, or non-factory mirror's damage or destruction;

4.5.6. The insured driver violates traffic regulations and drives in the opposite direction.

4.5.7. The driver operates the motorcycle under the influence of alcohol, drugs, or psychotropic substances (Notwithstanding that the insurance incident occurred due to the actions of either the driver of the insured motorcycle or a third party);

4.5.8. Claims arise from gross negligence or intentional misconduct by the driver;

4.5.9. Repairs are conducted outside Georgia;

4.5.10. The motorcycle is used in racing, test drives, or off-road activities;

4.5.11. The motorcycle is used for the following purpose: A) transportation in exchange of money; b) for renting (so called "Rental") c) for distribution of various goods, d) courier service;

4.5.12. The insured motorcycle is located and/or its specifications are inconsistent with the details associated with its VIN (Vehicle Identification Number), information that can be verified through the motorcycle manufacturer or another authoritative source,;

4.5.13. Loss results from ionized radiation or radioactive contamination, exposure to atomic/nuclear substances, or transportation of radioactive, toxic, explosive, or other hazardous materials.

4.5.14. Losses arising from war (whether declared or not), invasion, hostile actions, civil unrest, acts of terrorism, or attempts thereof;

4.6. **Obligation for prevention of Losses**

4.6.1. **You** are obligated to take all reasonable measures to prevent further damage

- 4.5.14. ომით (გამოცხადებული თუ გამოუცხადებელი); შემოჭრით, საომარი მოქმედებით; სამოქალაქო მლელვარებით; ტერორიზმის აქტით ან მისი მტკიცებით;
- 4.6. **ზარალის თავიდან აცილების მოვალეობა**
- 4.6.1. **თქვენ** ვალდებული ხართ, მიიღოთ ყველა საჭირო და აუცილებელი ზომა, რათა თავიდან აიცილოთ დაზღვეული მოტოციკლის დაზიანება;
- 4.6.2. მიიღეთ, გონივრულობის ფარგლებში, ყველა საჭირო ზომა მოპარული მოტოციკლის დასაბრუნებლად და ზარალის შესამცირებლად;
- 4.7. **საფრთხის ცვლილება - თქვენ** ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ, წერილობით შეგვატყობინოთ დაზღვეული მოტოციკლის სხვა პირის მფლობელობაში გადაცემის, მოტიციკლის გამოყენების შეცვლის შესახებ;
- 4.8. **ანაზღაურების ლიმიტი და სადაზღვევო ანაზღაურება**
- 4.8.1. ყოველი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას შესაბამისი ზარალი ანაზღაურდება **პოლისში** აღნიშნული **ფრანშიზის** გამოკლებით;
- 4.8.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდგომ, **სადაზღვევო თანხა** შემცირდება მანამდე ანაზღაურებული თანხების და **ფრანშიზის** ოდენობით;
- 4.8.3. თუ **პრემიის** გადახდა ხორციელდება განვადებით და სადაზღვევო შემთხვევა მოხდა **პრემიის** სრულ გადახდამდე და ზარალის ოდენობა აღემატება **სადაზღვევო თანხის** 40%-ს, ანაზღაურებიდან გამოიქვეითება გადაუხდეელი **პრემიის** ოდენობა;
- 4.8.4. **ჩვენ** მიერ ჯამურად ანაზღაურებული თანხა არ გადააჭარბებს ზარალის მომენტისთვის დაზღვეული მოტოციკლის საბაზრო ღირებულებას ან **პოლისში** მითითებულ **სადაზღვევო თანხას** (ან დარჩენილ ლიმიტს, იმ შემთხვევაში, თუ **პოლისზე** უკვე მოხდა ზარალის ანაზღაურება);
- 4.8.5. იმ შემთხვევაში, თუ ზარალის მომენტში მოტოციკლის საბაზრო ღირებულება ნაკლებია ან ტოლი **პოლისში** მითითებულ **სადაზღვევო თანხაზე**, სრული ზარალის შემთხვევაში ასანაზღაურებელ ზარალს გამოაკლდება დაზიანებული მოტოციკლის ნარჩენი ღირებულება და **პოლისში** მითითებული ფრანშიზა. ასეთ შემთხვევაში, დაზიანებული მოტოციკლი დარჩება **თქვენ** საკუთრებაში;
- 4.8.6. პროპორციული ანაზღაურების მეთოდი. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროისათვის დაზღვეული მოტოციკლის საბაზრო ღირებულება აღმოჩნდა სადაზღვევო თანხაზე მეტი, მაშინ ზარალის ანაზღაურება მოხდება დაზღვეული მოტოციკლის სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების პროპორციულად, იმგვარად რომ ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდეს იმ პროცენტს რეალური ზარალისა, რამდენიც არის სადაზღვევო თანხა დაზღვეული მოტოციკლის საბაზრო ღირებულებაში;
- 4.8.7. **ჩვენი** გადანყვეტილებით - შესაძლებელია ზარალი ანაზღაურდეს სრულად, ნარჩენი ღირებულების გამოკლების გარეშე - ასეთ შემთხვევაში თქვენ ვალდებული ხართ სადაზღვევო ანაზღაურებამდე გადმოგვცეთ ნარჩენებზე საკუთრების უფლება;
- 4.8.8. სადაზღვევო ანაზღაურებას არ ექვემდებარება ნებისმიერი სარემონტო თუ სხვა სახის ხარჯი, რომელიც გააუმჯობესებს დაზღვეული მოტოციკლის მდგომარეობას სადაზღვევო შემთხვევამდე არსებულთან შედარებით;
- 4.8.9. ზარალის ანაზღაურების მიზნით, **ჩვენ** უფლება გვაქვს დაზღვეული მოტოციკლის შეკეთების ხარჯები / ზარალის ადეკვატური თანხა გადავრიცხოთ პირდაპირ იმ სარემონტო/ შეკეთებელი ცენტრის ანგარიშზე, საიდანაც იქნება წარმოდგენილი დამდგარი ზარალის კალკულაცია (**პოლისში** აღნიშნული **ფრანშიზის** გამოკლებით);
- 4.8.10. **სარემონტო ხარჯების კალკულაცია.** **ჩვენ** მიერ ასანაზღაურებელი სარემონტო/აღდგენის/შეცვლის ხარჯები დგინდება ზარალის მომენტისათვის არსებული საშუალო საბაზრო ფასებიდან გამომდინარე;
- 4.8.11. **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ თავად შევარჩიოთ მოტოციკლის შეკეთებელი სერვის ცენტრი და დაზიანებული მოტოციკლის / მისი ნაწილების ღირებულება ავანაზღაუროთ მათი მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებით; თუ **თქვენ** უარს იტყვით **ჩვენ** მიერ შეთავაზებულ შეკეთებელი სერვის ცენტრის მომსახურებაზე და თავად შეარჩევთ სერვის ცენტრს დაზიანებული მოტოციკლის შესაკეთებლად, **ჩვენ** ვიტოვებთ უფლებას გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება **ჩვენ** მიერ შერჩეული სერვის ცენტრის მიერ მომზადებული ხარჯთაღრიცხვის ფარგლებში, მიუხედავად **თქვენ** მიერ შერჩეული სერვის ცენტრის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის;
- 4.8.12. თუ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ნაწილები არ ექვემდებარება აღდგენას - **ჩვენ** ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების მეორადი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას ან ავანაზღაურებთ აღნიშნული ნაწილების არა-ორიგინალი ნაწილებით ჩანაცვლების ღირებულებას, **ჩვენი** გადანყვეტილების შესაბამისად;
- 4.8.13. ზარალის მოცულობაზე შეუთანხმებლობის შემთხვევაში, შეფასება განხორციელდება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. ამასთან, შეფასებაზე გასაწევი ხარჯები მხარეებს შორის განაწილდება თანაბრად;
- 4.6.2. to the insured motorcycle and to mitigate losses, including efforts to recover a stolen motorcycle.
- 4.7. **Risks change - You** - are obliged to notify us of any transfer of the insured motorcycle to another person or change in its use must be promptly communicated to us;
- 4.8. **Indemnification limit and insurance payment**
- 4.8.1. Indemnification for each insured event will be provided after deducting the applicable **deductible** as specified in the **policy**.
- 4.8.2. **Insurance payment** for each insured event will be provided after deducting of amounts indemnified previously and after the applicable **deductible** as specified in the policy;
- 4.8.3. In cases where the premium is paid in installments and the insurance event occurred before the complete payment of **premium** and the total damage exceeds 40% of the **insurance payment**, the outstanding premium will be deducted from the compensation;
- 4.8.4. The sum indemnified by us will not surpass the lesser of the market value of the insured motorcycle at the time of loss or the insurance amount specified in the **policy** (considering any previous claims made under the policy);
- 4.8.5. If the market value of the motorcycle at the time of loss is less than or equal to the insurance amount stated in the **policy**, compensation for total loss will be adjusted against the motorcycle's residual value and the deductible, with the damaged motorcycle remaining the property of the policyholder;
- 4.8.6. Proportional indemnification method. If at the time of the insurance event, the fair market value of the property is higher than the insured sum, then the claim will be settled on a proportional basis. The compensation will be calculated relative to the insured sum and the fair market value of the insured motorcycle. The amount to be indemnified will represent the actual percentage of the loss, which corresponds to the insured sum as a percentage of the insured motorcycle's real value;
- 4.8.7. **We** reserve the right to opt for full compensation without deducting the residual value, in which case You are obliged to transfer ownership of the motorcycle residual to us before receiving compensation;
- 4.8.8. Insurance payments do not cover any repair or other expenses that improve the condition of the insured motorcycle beyond its pre-accident state;
- 4.8.9. To compensate for losses, we are authorized to pay the repair costs or an adequate amount for the loss directly to the repair center, where a respective damage calculation will be represented, (excluding the **deductible** specified in the **policy**);
- 4.8.10. **Calculation of repairs.** The calculation of repair/recover/replacement costs will be based on average market prices at the time of loss;
- 4.8.11. **We** retain the right to select the repair service center and may compensate for the cost of damaged parts using secondary parts of equivalent value; If **you** choose to decline the Service Center recommended by **us** and instead opt for a different Service Center to repair the damaged motorcycle, **we** reserve the right to issue insurance compensation based on the cost estimate prepared by our recommended Service Center. This applies irrespective of the actual costs incurred at the Service Center **you** select.
- 4.8.12. In instances where the damaged parts are beyond repair due to the insurance event, **we** will compensate for the replacement of these parts. This compensation will either cover the cost of secondary parts or the cost of non-original parts, based on **our** determination.
- 4.8.13. In case of disagreement regarding the volume of the damage, an assessment will be conducted by the LEPL Levan Samkharauli National Bureau of Forensic Expertise. Herewith, the costs incurred for the assessment will be equally shared between the involved parties;
- 4.8.14. Indemnification will not cover costs related to the repair, replacement, or restoration of any parts of the insured motorcycle that were damaged prior to the occurrence of the insurance event;

- 4.8.14. ანაზღაურებას არ ექვემდებარება დაზღვეული მოტოციკლის იმ ნაწილების შეკეთების / ჩანაცვლების / აღდგენის ხარჯები, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე აღენიშნებოდა დაზიანება;
- 4.8.15. იმ შემთხვევაში, თუ **თქვენ** იღებთ კომპენსაციას დამნაშავე პირისგან და ეს კომპენსაცია აღმატება **ფრანშიზის** ოდენობას, ასანაზღაურებელი თანხა შემცირდება ამ კომპენსაციასა და **ფრანშიზას** შორის არსებული სხვაობის ოდენობით;
- 4.8.16. წერილობითი განცხადება ზარალის შესახებ უნდა მოგვანოდოთ სადაზღვევო შემთხვევიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში, წინააღმდეგ შემთხვევაში უფლებას ვიტოვებთ არ ავანაზღაუროთ ზარალი;
- 4.9. **თქვენი მოვალეობანი.** იმისთვის, რომ თავიდან აიცილოთ რაიმე სახის პრობლემა (ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის ჩათვლით) ან დაგვიანება თანხის ანაზღაურების პროცესში, აუცილებლად უნდა შეასრულოთ ქვემოთ ჩამოთვლილი რამდენიმე პირობა, კერძოდ:
- 4.9.1. დაუყოვნებლივ შეატყობინოთ საპატრულო პოლიციას სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 4.9.2. დაუყოვნებლივ დაგვიკავშირდეთ **ჩვენს** ცხელ ხაზზე (+995 322 605 111) და მოგვანოდოთ სრული ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;
- 4.9.3. არასდროს აიღოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა **თქვენს** თავზე **ჩვენთან** წერილობითი შეთანხმების გარეშე;
- 4.9.4. იმ შემთხვევაში, როდესაც **ჩვენ** მიერ ანაზღაურდება (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლა, სადაზღვევო ანაზღაურებიდან გამოკლებული იქნება დაზიანებული დეტალის ნარჩენი საბაზრო ღირებულება, მაასთან, ასეთ შემთხვევაში ნარჩენი საბაზრო ღირებულების განსაზღვრა ხდება **ჩვენი** ან **ჩვენ** მიერ დანიშნული შემფასებლის მიერ; შესაძლებელია, **ჩვენი** გადაწყვეტილებით, ანაზღაურდეს (ფრანშიზის გამოკლებით) დაზიანებული დეტალების შეცვლის ღირებულება სრულად-ასეთ შემთხვევაში **თქვენ** ვალდებული ხართ გადმოგვცეთ დაზიანებული ნაწილების განკარგვის უფლება სადაზღვევო ანაზღაურების გაცემამდე;
- 4.9.5. არ დაიწყეთ სადაზღვევო შემთხვევით დაზიანებული მოტოციკლის შეკეთება **ჩვენთან** შეთანხმების გარეშე;
- 4.9.6. **ჩვენი** მოთხოვნის საფუძველზე მოგვანოდოთ ზარალის დარეგულირებისათვის აუცილებელი ოფიციალური ცნობები/დოკუმენტები სახელმწიფო ორგანოებიდან და/ან სხვა კომპეტენტური დაწესებულებიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ, უარი განვაცხადოთ ვალდებულებების შესრულებაზე აღნიშნული საპასუხო მოქმედებების შესრულებაზე;
- 4.10. **ჩვენი მოვალეობები.**
- 4.10.1. ავანაზღაუროთ სადაზღვევო შემთხვევის შედეგად მიყენებული ზარალი წინამდებარე დაზღვევის პირობების შესაბამისად;
- 4.10.2. **თქვენი** სახელით ნარეგულირებელი და გავაკონტროლოთ ზარალის დარეგულირების პროცესი;
- 4.10.3. საჭიროების შემთხვევაში, **თქვენთან** შეთანხმებით გავაკონტროლოთ სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებული ნებისმიერი იურიდიული პროცესი;
- 4.10.4. გავცეთ სადაზღვევო ანაზღაურება **ჩვენ** მიერ ზარალის დარეგულირებასთან დაკავშირებული დოკუმენტების მიღებიდან და ზარალის ოდენობაზე შეთანხმებიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში;
- 4.11. თუ **თქვენ** ან **მოსარგებლე** რაიმე ხერხით გააყალბებს ან შეეცდება, რომ გააყალბოს სადაზღვევო შემთხვევა (ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი დეტალი), **ჩვენ** უფლებას გვაქვს არ ავანაზღაუროთ შესაბამისი ზარალი. ეს პირობა ვრცელდება აგრეთვე იმ შემთხვევებზეც, როდესაც **თქვენ** შეგნებულად ზრდით ზარალის ოდენობას ან გვანვდით ყალბ ინფორმაციას;
- 4.12. **პრემიის გადახდა:**
- 4.12.1. **თქვენ** ვალდებული ხართ გადაიხადოთ **პრემია პოლისში** მითითებული ნებისა და ოდენობით;
- 4.12.2. თუ **პრემიის** გადახდის ვადას დარღვევთ **ჩვენ** წერილობით / მოკლე ტექსტური შეტყობინებით / ელექტრონული ფოსტით განგისაზღვრავთ ვადაგადაცილებიდან ორკვირიან ვადას დავალიანების ასანაზღაურებლად, რომლის უშუალოდ გასვლის შემდეგ **ჩვენ** ვთავისუფლებით ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოვალეობებისგან;
- 4.12.3. თუ **თქვენ** დაარღვევთ პრემიის გადახდის ვალდებულებას, **ჩვენ** შეგვიძლია ერთი თვით ადრე გაგაფრთხილოთ ხელშეკრულების მოშლის თაობაზე და ამ ვადის უშუალოდ გასვლის შემდეგ მოვშალოთ იგი, დამატებითი გაფრთხილების გარეშე. ასეთ შემთხვევაში **ჩვენ** უფლებამოსილი ვართ მოგთხოვოთ და თავის მხრივ **თქვენ** ვალდებულ ხართ ავანაზღაუროთ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის არსებული პრემიის დავალიანება სრულად (4.15.2 პუნქტის შესაბამისად).
- 4.12.4. **ჩვენ** ვთავისუფლებით ყოველგვარი პასუხისმგებლობისგან, ვიდრე არ არის გადახდილი **პოლისის** გრაფიკით განსაზღვრული **პრემიის** პირველი შენატანი. **ჩვენი** პასუხისმგებლობა აგრეთვე ჩერდება მომდევნო შენატანების
- 4.8.15. If you receive compensation from the party at fault and the amount exceeds the deductible (**franchise**), the insurance compensation will be reduced by the difference between the received compensation and the **deductible** amount.
- 4.8.16. A formal written declaration of the loss must be submitted to us within a maximum period of 10 working days following the occurrence of the insurance event. Failure to provide this documentation within the specified timeframe will result in our inability to provide compensation for the damage.
- 4.9. **Your Obligations.** To prevent any issues (such as the refusal to pay indemnification) or delays in the compensation process, you are required to fulfill several conditions, specifically:
- 4.9.1. Promptly report the incident to the Patrol Police, as part of the claims notification process;
- 4.9.2. Contact our claims department immediately via our emergency hotline (+995 322 605 111) and provide comprehensive details pertaining to the claim;
- 4.9.3. Refrain from admitting liability for the claim without prior written consent from our company;
